ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ისტორია

III ტური

X-XII კლასები

2024-2025 სასწავლო წელი

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 1:</u> ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 10 ქულა.

ინგლისელი გლეხების აჯანყება (1381 წელი)

(ფრუასარის ქრონიკის მიხედვით)

ეს გაბოროტებული ხალხი ინგლისის სამხრეთ-დასავლეთის საგრაფოებში აჯანყდა. მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, იმიტომ, რომ ხალხს სასტიკ მონობაში ამყოფებენ... მათ ამის ატანა არც სურთ და აღარც შეუძლიათ. მათ უნდათ, რომ თავიანთი ნამუშევრის, ხვნა-თესვისა თუ სხვა სამუშაოსთვის, რომელსაც სენიორისთვის ასრულებენ, გასამრჯელო მოითხოვონ.

ეს მიუღებელი აზრები უფრო ადრე, აჯანყების დაწყებამდე, გამოთქვა შეშლილმა მღვდელმა კენტის საგრაფოდან, სახელად ჯონ ბოლმა და მისი შლეგური გამოსვლების გამო არაერთხელ ყოფილა ციხეში გამომწყვდეული კენტერბერის ეპისკოპოსის მიერ. ჯონ ბოლი კვირაობით, ღვთისმსახურების შემდეგ, როდესაც მრევლი ეკლესიას ტოვებდა, თავის გარშემო ხალხს შემოიკრებდა და ქადაგებდა:

“კეთილო ხალხო, ინგლისის საქმეები კარგად ვერ იქნება მანამ, სანამ საკუთრება საერთო არ გახდება, არ იქნებიან არც გლეხები, არც კეთილშობილები და ჩვენ, ყველა თანასწორნი არ ვიქნებით. რატომაა, რომ ისინი, ვისაც ჩვენ სენიორებს ვეძახით, ჩვენზე ბატონობენ? რა დამსახურებისათვის? რატომ ვყავართ მონობაში? ჩვენ ყველანი ერთი მამისა და დედის შვილები ვართ – ადამისა და ევას. რატომ თვლიან, რომ ჩვენზე უნდა იბატონონ? რით ასაბუთებენ ამას? იმიტომ ხომ არა, რომ შრომა გვაიძულონ, რათა თავად მოიპოვონ მათთვის სასურველი კეთილდღეობა? მათ ხავერდი და აბრეშუმი მოსავთ, ჩვენ კი – უბრალო მაუდის ტანსაცმელი. მათ ღვინო, სანელებლები და საუკეთესო პური აქვთ, ჩვენ კი – სალაფავი და წყალი. მათ დასვენება ეკუთვნით, ლამაზი ციხესიმაგრეები, ჩვენ კი – გაჭირვება და შრომა, წვიმა და ქარი მოწმენდილ ველზე. ჩვენ, გლეხებს, ყმებს გვეძახიან, გვცემენ, თუ უმალ არ შევასრულებთ ბრძანებას. ჩვენი დამცველიც არავინაა, რომ სამართალი მოვთხოვოთ. წავიდეთ ახალგაზრდა მეფესთან, მოვუთხროთ მას ჩვენს მონობაზე და ვუთხრათ, თუ რა სურვილები გვაქვს, რა უნდა შეიცვალოს, თუ არ გამოგვივა, თავად გამოვნახავთ ამის საშუალებას“.

კითხვები:

(1) 1.1. ტექსტის მიხედვით, რა კონკრეტული მოთხოვნა ჰქონდათ აჯანყებულ გლეხებს ინგლისში?

(1) 1.2. ვინ ედგა სათავეში ინგლისში მომხდარ გლეხთა ამ აჯანყებას, ჯონ ბოლის გარდა?

(1) 1.3. რომელი ცნობილი მოვლენა უძღოდა წინ გლეხთა ამ აჯანყებას, რომელიც მძვინვარებდა მთელს კონტინენტურ ევროპასა და ინგლისში და ამავდროულად ამ აჯანყების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად იქცა?

(1) 1.4. თქვენი აზრით, რატომ დააპატიმრა ჯონ ბოლი სწორედ კენტერბერის ეპისკოპოსმა?

(1) 1.5. თქვენი აზრით, რატომ ქადაგებდა კვირაობით, ღვთისმსახურების დასრულების შემდგომ ჯონ ბოლი ეკლესიის გარეთ?

(1) 1.6. თქვენი აზრით, როგორი დამოკიდებულება აქვს ფრუასარს, ტექსტის ავტორს, გლეხთა აჯანყების მიმართ? მოიყვანეთ სათანადო არგუმენტი ტექსტიდან მისი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ.

(2) 1.7. ტექსტის მიხედვით, ჯონ ბოლის აზრით, რა აუცილებელი პირობის დაკმაყოფილება იყო საჭირო ინგლისში ვითარების გამოსასწორებლად და რა არგუმენტი მოჰყავს მას საკუთარი მოსაზრების დასასაბუთებლად?

(2) 1.8. რომელი მეფე მართავდა ამ აჯანყებისას ინგლისს და რომელი სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო იგი?

<u>ინსტრუქცია დავალებისთვის 2:</u> **ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.**

- *ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული.*
- *ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული დავალება მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.*

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 15 ქულა.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა ზღვებსა და ოკეანეებზე.

ესპანელთა მიერ აცტეკებისა და ინკების სახელმწიფოების დაპყრობის შედეგად მათ ხელში დიდძალი სიმდიდრე აღმოჩნდა. გალეონები ათეულობით და ასეულობით ტონა ოქროსა და ვერცხლს ეზიდებოდნენ ატლანტის ოკეანის გავლით ესპანეთში. ამ საზღვაო გზაზე ესპანური სავაჭრო გემებისათვის ერთ-ერთ საფრთხეს ინგლისელი მეკობრეები წარმოადგენდნენ, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი სამეფო კარის მხარდაჭერითაც კი სარგებლობდა.

მეკობრეები ხმელთაშუა ზღვაშიც დიდ საფრთხეს უქმნიდნენ სავაჭრო გემებს. აქ ალჟირელი და ტუნისელი მეკობრეები „საქმიანობდნენ“, რომლებსაც ოსმალეთის იმპერიასთან ჰქონდათ კავშირი.

ამავე პერიოდში გაიმართა საზღვაო დაპირისპირებები: 1571 წელს ლეპანტოს ბრძოლა და 1588 წელს ლა-მანშის სრუტეში „დიდი არმადის“ მარცხი, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი.

კითხვები:

(2) 2.1. დაასახელეთ ორი მიზეზი, რომლებმაც, თქვენი აზრით, გაუადვილა კონკისტადორებს აცტეკებისა და ინკების დამარცხება. აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტები, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 2.2. დაასახელეთ ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი შედეგი, რომელიც ესპანეთის სამეფოს მიერ დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის ხელში ჩაგდებამ გამოიწვია. აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტები საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 2.3. დაასახელეთ ორი პიროვნება: ინგლისელი მეკობრე, რომელმაც მაგელანის შემდეგ პირველმა შემოუარა დედამიწას და ასევე მონაწილეობდა „დიდი არმადის“ დამარცხებაში; ინგლისელი მონარქი, რომელმაც ეს მეკობრე რაინდად აკურთხა.

(1) 2.4. დაასახელეთ ერთი მიზეზი, თუ რატომ უჭერდა მხარს ინგლისის სამეფო კარი მეკობრეებს? აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტი, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 2.5. თქვენი აზრით, რა იყო „დიდი არმადის“ დამარცხების მნიშვნელოვანი შედეგი, გარდა წმინდა სამხედრო ასპექტისა? აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტი, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 2.6. დაასახელეთ ერთი მიზეზი, რომელიც განაპირობებდა ოსმალეთის იმპერიის ალჟირელ და ტუნისელ მეკობრეებთან მოკავშირეობას. აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტი, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 2.7. დაასახელეთ ლეპანტოს ბრძოლაში მონაწილე მხარეები.

(1) 2.8. თქვენი აზრით, რა იყო ლეპანტოს ბრძოლის მიზეზი. აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტი, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 2.9. თქვენი აზრით, რა საერთო ჰქონდა ტექსტში დასახელებულ ორ საზღვაო ბრძოლას, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი. აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტი, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) 2.10. დაასახელეთ ლეპანტოს ბრძოლის ან „დიდი არმადის“ დამარცხების ანალოგიური მოვლენა შემდგომი პერიოდის ევროპის ისტორიიდან. აუცილებლად მოიტანეთ ორი არგუმენტი, თქვენს მიერ დასახელებული ანალოგიის დასადასტურებლად.

(1) 2.11. დაასახელეთ ერთი განსხვავება თქვენს მიერ მოტანილ ანალოგიასა და ლეპანტოს ბრძოლასა ან „დიდი არმადის“ დამარცხებას შორის. აუცილებლად მოიტანეთ სათანადო არგუმენტი, საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.